საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 13 სექტემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი დიოს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ექვემპლარი 2 მანეთი, განცხადების ფასი როგორც ადგილ გვერდზე, ისე მეოთხეზე ჰეტიტის სტრიქონი 3 მანეთი, სავალოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება, რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის ბრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

№ 207 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 207

უბედური, გულდაფიქალი და შეწუხებული ჭმოლები ლადიკო ივანეს ძე, ბებია და ბაბუა ივანე იუს[illegible] ელისაბედ ლევანის ასული და ბიძა ამესლომი თავიანთ[illegible] ნათესავ, მეგობრებს, რომ 12 [illegible]ნისთვის, პარასკევს დილის 6 ს. გა[illegible]ვალა ტვინის ანთებით [illegible] ერთადასული შვილი პიროველია, ბეგლის შვილი მეორ[illegible]ა და [illegible] ასული მესამისა

(ეროსაკა) ქალბატონ ოლგის ასული

[illegible] ცხოვ[illegible]ების [illegible] (2-

პარმარე დავითის ასული თუმანოვი აუწყებს ნათესავ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ განსვენებულ ძვირფასი დის

ქეთევან დავითის ასული თუმანოვის

გადაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე, კვირას, 14 სექტემბერს ხოფილ ხელოვნებანში (ბორის მაზრა) მიცვალებულის საფლავზე დანიშნულია პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა. წირვა დაიწყება დილის 10 ს.

იგეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად

ვ. რუხაძის მესამე წიგნი

„ცხოვრების ყვავილები"

(ლექსები).

— ახალი წიგნი—იუსლება ყველ[illegible] —

გალაკტიონ ტაბიძე:

ლექსები

ტომი მეორე (1914—1919)

მსურველთ წიგნი გა[illegible] „ბ[illegible]ციაში, წიგნი უნდა მოითხოვ[illegible] [illegible]ეგ[illegible] [illegible]ბ[illegible]

წიგნის ფასი 25 მან

რუსეთის ს. დ. და ჩვენ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდა ორი წერილი პ. ბ. აქსელროდისა. დღეს იბეჭდება სტატია რუსეთის ს. დ. პარტიის პარიზელი ჯგუფის ბიერ [illegible] „[illegible] საქართველო". როგორც პ. ბ. აქსელროდი, ისე სტატიის ავტორი სავსებით ამართლებს მარქსისტული და რევოლიუციური თვალსაზრისით საქ. ს. დ. მუშაობას, დამოუკიდებლობის გამოცხადებას და სხვ. ამასთანავე პ. აქსელროდი დიდი იმედით მოელის იმ დღეს, როცა ისევ რუსეთის ს. დ. ამხანაგებთან ხელიხელ ჩაკიდებული გვიხილავს სოციალიზმისთვის ბრძოლაში, სტატიის ავტორი კი ფიქრობს, რომ „ჩვენი გული ისევ სცემს რუსეთისთვის", რომ ჩვენ „სამუდამო მეგობრები ვიქნებით დიდი დემოკრატიული რუსეთის".

ჩვენი ნაციონალისტური გაზეთები, ჯერ ერთ, ამ ბუნებრივი სურვილისა და მარქსისტული შეხედულების გამო, ერთ განგაშს ასტეხენ, პათეტიური კილოთი მოჰყვებიან კიბეს: დახეთ რუსეთის ს. დ. კი იმპერიალისტობენ, დამოუკიდებლობას უბედურებათ გვისახავენ, რუსეთის ოკეანენი გათქვეფას გვპირდებიან, მობალშევიკი სოც.-დემოკრატებმა, რომელთა ბოლშევიზმს ნაციონალისტური სული სავსებით ურიგდება, უკვე აღიმაღლეს თავის პატრიოტული ხმა ამ საშიში ესდეკების წინააღმდეგ, და ასეთი მარტივი და ადვილი გასაგები სურვილი „უდიდესი ისტორიული მოვლენის გამასხარავებათ" გამოაცხადეს („სახალ. საქმე" № 625 [illegible]ურა).

ვინ ვის, ან რას ამასხარავებს, ამაზე ცალკე პრესაში მოვილაპარაკებთ, როცა სხვა გაზეთების აზრსაც მოვისმენთ.

ამ ჟამად კი გვინდა ჩვენი დადებითი აზრი გამოვსთქვათ ამ საკითხის განზე.

რუსეთის ს. დ. ამხანაგები გვიწონებენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რევოლიუციურ ბრძოლის მეთოდებს და თან ნატრობენ ჩვენ მეგობრობას დემოკრატიულ რუსეთთან, ნატრობენ საქართველოს სოც.-დემოკრატიის ხილვას რუსეთის მთლიან ს. დ. მ. პარტიის წიაღში.

არის აქ წინააღმდეგობა? არის აქ იმპერიალიზმი? თუ აქ ისეთივე გაგებაა ისტორიული მოვლენის და ცხოვრების ტენდენციების, როგორც შეფერის მარქსისტულ მოძღვრებას და ხალხის ფარული მასსის, პირველ ყოვლისა პროლეტარიატის კლასიური ინტერესების დაცვას?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აქ წინააღმდეგობა ადგილი არა აქვს. დამოუკიდებლობა ჩვენი რუსეთის დაშლის პროცესში ფარ[illegible]იშვა, მისი ანტი დემოკრატიული, ანარქიული სტიქიისგან თავის დასხნის [illegible] დაბადა, [illegible] ბეულია დემოკრატიულ რუსეთს ძიზიდველ ძალათ გადაიქცეს?

ჩვენს ფედერალისტებს ქონდათ ოდესღაც, თავის დიბნეულ მოძღვრების ერთ კუნჭულში შემონახული თაროზე ფედერაცია რუსეთის, შემდეგ ევროპის, შემდეგ მთელი კაცობრიობის. ხანდისხან ამ ბოლო დროსაც გამოიტანდნენ ხოლმე ამ ლოზუნგს საჯაროების მიხედვით. მაგრამ როცა გაიგეს რუსეთის ს. დ. სურვილი ჩვენი მეგობრობის კვლავ აღდგენისა—ეს ვიუბატონები ყალუზე დგებიან. მათ უნდათ რუსეთის საზოგადოების ყველა წრეები და ჯგუფები, ყველა პარტიები და მიმდინარეობანი საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგებათ დაგვისახონ. განსაკუთრებით ს. ფ. ამითომ ამ მიზანს აღწევენ, ს. დ. იდეებს ლანძღავს სცემენ და ნაციონალისტურ გრძნობებს აღვიძებენ, თითქო ყველა რუსი—ყოველი ქართველის მტერია.

ჩვენ ამ ნაციონალისტურ ფილოსოფიას ჩვენი მობალშევიკე ს. ფედერალისტებისას—არ ვიზიარებთ. ჩვენ ვამბობთ: გამოვეყავით რუსეთის რეაქციას, ბურჟუაზიულ და ანარქიულ კონტრ-რევოლიუციას, იმპერიალისტურ ზრახვებს, მაგრამ არ გამოვქცევართ რუსეთის დემოკრატიას; ამ უანასკნელთან ერთად ჩვენ ვიბრძოდით რევოლიუციის ინტერესებისთვის, და მომავალშიაც ჩვენი ერთი უდიდესი სურვილია დიდ რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკათ გადაქცევა. ეს ქვეყნიერ საუკეთესო გარანტია ჩვენი ერის ბედნიერებისა.

ჩვენ სოციალისტები ვართ და ინტერნაციონალ[illegible]ბაც ისე, როგორც დემოკრატია, საშუალებათ მიგვაჩნია სოციალიზმისთვის. სოციალიზმი კი ყველა ერთა გაერთიანებაა, ერთ დიდ ოჯახათ გადაქცევა, სადაც ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არ ექნება.

პატარა ერს დამოუკიდებელსაც ძალიან დაჩაგრავენ იმპერიალისტური დიდი სახელმწიფოები. მაგრამ დემოკრატ. მეზობლები კი დაიცავენ. ცხადია, ჩვენს გარეშემო ნამდვილი დემოკრატიების დამყარება—ეს ჩვენი დემოკრატიის საუკეთესო პირობებში ჩაყენებაა. მაგრამ რ. ს. დ. რომ ჩვენს შეერთებაზე ლაპარაკობენ? ჯვეტყვიან ჩვენ. ნუ თუ ასეთი აზრი მისაღებია?

ნაციონალ-დემოკრატებისთვის, რასაკვირველია, ერა. მათთვის დამოუკიდებლობა ფეტიშია. მაგრამ ჩვენთვის ამ სურვილში არაფერი არ ისახება, გარდა იმ მარტივი აზრისა, რომ სოციალიზმისთვის ბრძოლაში ყველა დემოკრატიები, რაც შეიძლება მჭიდროთ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი.

როგორი იქნება სახე და ფორმა ამ კავშირის, [illegible] ჯერ [illegible] ასეთი ყალბი შეხედულება. „შებრძოლი საქართველოს" ავტორი პირიქით იცავს საქართველოს რუსეთის ფედერალისტური ძალების თავდასხმისგან. [illegible] ფორმა დაპყრობისა, [illegible] ჩაგვრისა, ძალდატანებისა [illegible] ისინი იმედს ამყარებენ მხოლოდ დემოკრატიულ რუსეთზე, ე. ი. ისეთ წყობილებაზე, რომელიც ჩვენთვის მიმზიდველი იქნება თავის შინაარსით და არა ძალადობით. ცხადია, ურთიერთობაც მეგობრობისა და დემოკრატიის ინტერესების სწორ გაგებაზე იქნება დამყარებული.

ჩვენ ვვაქვს ამ ჟამად, მაგ. ერთგვარი მეგობრული ურთიერთობა აზერბეიჯანთან. გვაქვს ხელშეკრულებაც მათთან. შეიძლება ეს ურთიერთობა კონფედერაციამდე ან ფედერაციამდეც მიიყვანა. ეს შეურაცყოფს ჩვენი ერის [illegible] უკადებლობას? პირიქით, ეს უდიდეს გამარჯვება იქნება დემოკრატიის.

მაგ რატომ არ იქნება ასეთივე გამარჯვება, თუ ჩვენ დაუკავშირდებით [illegible] ? და რათ იქნ[illegible] [illegible] ? [illegible] ? [illegible] ?

ᲓᲦᲔᲡ

საზავო ხელშეკრულების მიხედვით შეუძლებელია ავსტრიის ჯერმანიასთან შეერთება.

კონფერენციის დაახლოებულ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩეხო-სლოვაკები და სამხრეთ სლავიანები ავსტრიასთან ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ.

რუმინიის მთავრობის განკარგულებით რუსმა ოფიცრებმა 15 სექტემბრამდე უნდა დატოვონ რუმინიის ტერიტორია.

საარის ოლქში მუშათა მღელვარება, ძლიერდება, მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

რუმინიის მთავრობამ ტრანსილვანიაში სამხედრო წესები მოხსნა.

ფრანგული პრესა დიდათ უკმაყოფილოა ინგლის-სპარსეთის შეთანხმებით.

მისწრაფება". აშკარაა, ეს იქნება გრძელი და მტანჯავი პროცესი...

დღეს ლეიბორისტული პროლეტარიატი მეტად დაქსაქსულია. ეს ხდება იმიტომ, რომ მისი ნაწილები ჯერ კიდევ ვერ მისულან იმ შეგნებამდე, რაც აუცილებლად საჭიროა მის (მუშათა კლასის) მისიის ასასრულებლად შეიძლება ობიექტიური, ნიშანდობლივი პირობები იყვეს ახალ ცხოვრებისთვის მზად. მაგრამ როგორც ლაბრიოლა (ანტონიო) აღნიშნავს „ფეოქტიური მექანიზმი (მოთუმეტეს კლასის) მეტად ელასტიურია; ამას გარდა არავინ არ სცხოვრობს მხოლოდ თავის საკუთარ კლასში მომწყვდეული, რომ სხვა კლასების გავლენას არ განიცდიდეს". სამწუხაროთ, მუშათა კლასის სხვა და სხვა ნაწილი ჯერ კიდევ სხვა, მის მოწინააღმდეგე კლასთა და იდეათა გავლენის ქვეშ იმ ყოფება.

ამიტომ ფსიქოლოგიურ, ორგანიზაციულ და ფიზიკურ ერთიანობისაკენ უნდა მიიწრაფოდეს და მიიწრაფის მუშათა კლასი ყველა ქვეყნისა. ამ დიდ საქმეს ემსახურებიან ეხლა საერთაშორისო მუშათა სოციალისტური კონგრესები. ამათში ერთი რგოლია ლიუცერნის კონგრესი და მით არის იგი ჩვენთვის ძვირფასი. ამას წინეთ ერთი ბურჟუაზიული გაზეთი სწერდა, რომ „ლიუცერნმა თუ შესძლო სოციალისტურ ბანაკში შფოთვის აღმოფხვრა, ეს იქნება დიდი საქმე იქნება"-ო („საქართველო" 11 აგვისტოს თარიღით). შეიძლება ამის დაწერს ეს დიდი საქმე არაფერს ეობნებოდეს. მაგრამ თუ მართლა „აღმოიფხვრა შფოთი" სხვა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატს შორის, მაშინ დაჩქარეს კიდეც არსებულ წყობილების უკანასკნელი საათი. ეს საქმე რასაკვირველია, ლიუცერნის კონგრესის ძალა-ღონე აღემატება, მაგრამ ამ დიდ საქმეს იგი სხვა კონგრესებსა და სხვა, უფრო ძლავრ ორგანოებს გადასცემს და იმ მეთოდიური მუშაობით, რომელსაც მუშათა ფართო მასსები აწარმოებენ, თუ მართალია ინტერნაციონალი, ნამდვილი, ძირმომაგრებული, ყველა ქვეყნების პროლეტარიატის შემაკავშირებელი ინტერნაციონალი, მაშინ ამ ერთიანს, შეკვშირებულ პროლეტარიატში იმდენი ფიზიკური და სულერი პოტენციალია, რომ მის გარდაშლით აღსრულდება მუშათა კლასის ისტორიულ მისიაც.

არ. მექანარიშვილი.

რუს. ს.-დ. და საქართველოს დამოუკიდ. გლოგა

საზღვარ გარეთ მყოფმა რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრთა ჯგუფმა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა „რუსეთის ხმა", სადაც საქართველოს საკითხს ეხებიან.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება იმ წერილის მოყვანა, რომელიც „შებოჭვილი საქართველო"-ს სათაურით შიგ არის მოთავსებული. ვსარგებლობთ „სახალხო საქმის" თარგმანით, რომელიც შემდეგს სწერს:

„შესაზარი ამბავი მოგვდის კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკა საქართველოდან, რომელმაც თავისი საუკეთესო შვილია სისხლით მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ძალა სფეროების უარყოფას ჰსურთ დაახჩონ ეს მშვენიერი პატარა ქვეყანა და ბეჯითად უგალობენ ალ ლუიას —მათ უფლებას, თავისუფლებას და ცივილიზაციას,

ამ პატარა სამ ნახევარ მილიონიან ხალხს შარჩა გულ დობა გასძოლოდა რეაქციონურ ძალას და ბალშევიზმს და ამაოდ გადაურჩა სცილას და ხარიბდას.

საქართველომ მოისურვა თვით გადაწყვეტოს თავისი ბედი. ვის რა უნდა დაუშალოს ამას?

საქართველოს ახლო დროის ისტორია აძლევს კარგ გაკვეთილს რუსეთის გულუბრყვილო მწყალობლებს, რომელნიც მისწრაფოდნენ მოკავშირეების ჩარეულ ბალტიკან და კოლჩაკ დენიკინის ჯურისთანა ავანტიურისტების ცნობისკენ. განა დაიჯერებდა ამ ცარისტების ლიბერალური დაპირებები მსოფლიო ომის მაგალითების შემდეგ, როდესაც საკმარისად დამტკიცდა „ქალაქლდის ნაგლეჯების" ნამდვილი ღირებულება თვით კაცთუმოყვარეები პოლიტიკოსის მიერ ხელ-მოწერილი.

განა სულ ახლო ხანში არ ვიხილეთ „დაპირებების" ღირებულება ვერსალის კონგრესზე, სადაც ერთ-ერთ ეხლანდელ წინასწარმეტყველის 14 პუნქტი ისე (აცოდავად ჩაიშალა! მაგრამ რა ვქნათ, რომ ისე ნატრობენ ბალშევიკების თავიდან მოშორებას, რომ თავს იკატუნებენ ვითომდა კოლჩაკის სჯერათ რამე. რა უბუნურებაა!

საქართველო არ განიცდის ბალშევიზმს. უდიდესი მეცადინეობის და უმაგალითო თავგანწირვის წყალობით მან აიცდინა ლენინის ექსპერიმენტები, თურქების ზარბაზნები, ყოფილ რუსეთის ჯარის შემოსევა და ანარქია. ეღვირახსნილ სურვილთა ოკეანეში და სოციალურ გაშმაგებულ მტვრევა-ნგრევაში შეჭმნა თვისი კუნძული, დაამყარა ნამდვილი, დემოკრატიული თავისუფლება.

ამის გამო ლენინი და მისი დაჩაშები არ სცნობენ საქართველოს, უწოდებენ მოღალატეთა ქვეყანას.

და არც კლემანსო თავის პალადინებით სცნობენ საქართველოს და უფრო უკეთესად მიქმედებენ: ისინი მხარს უჭერენ დენიკინს, ლიახოვს და ცარიზმის ყოფილ სხვა სატრაპებს, უგზავნიან მათ ფულს და სურსათს საქართველოს დასახჩობად ბალშევიზმთან ბრძოლის ოფიციალურ საბუთით. დენიკინიც თავის მხრით უფრო ხელსაყრელად სთვლის პატარა საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებას, ვიდრე ბალშევიკებთან ბრძოლას.

საქართველოს კი არ უნდა არც ბალშევიზმი, არც დენიკინი. მას ჰსურს იყოს თავისუფალი, ვინაიდან ძვირათ დაუჯდა უფლება თავისუფლებისა. ნახევარ საუკუნეზე მეტი საუკეთესო მისი შვილები მუშაობდნენ მთელის თავისი ძალ-ღონით რუსეთის გასანთავისუფლებლათ ცარიზმის ულელისაგან. რამდენიმე თაობამ გაიცადა რუსეთის რევოლიუციონერებთან ერთად მათი ბედი ციმბირ-ალტორლაში. რუსეთის რევოლიუციის ისტორიამ საზოგადოთ, და კერძოთ ჩვენი პარტიისა ჩასწერა ოქროს ასოებით საზოგადო თავისუფლებისთვის სახელოვნათ დახოცილ ქართველებს სახელები, როგორც ჯაფარიძე, ლომთათიძე, ჯუღელი. ჩვენი ყოველთ ღირსეულ წევრებ ნოე ჟორდანიას, ნიკოლოზ ჩხეიძეს, ეროკლე წერეთელს და სხვათა სახელები ცნობილია ყველა ...

...ბას ზალამ ...ტორიამ ...ცა ...ალი განსაცდელი ...ოლიციისთვის: ...ა, ანარქია და ლენინისაგან დაწყებულ ...ნგრევა, ...ეს ...ორედ ამ დროს ქართველები გადგნენ ...ზე რომ გადარჩინათ ის, რის გადარჩენაც კ...ოვ შესძლო იყო, და ...ეყარეს საქართველოში მკვიდრი საფუძველი ჯანსაღ დემოკრატიას. მათ საზღვარ ...ფალად დაუჯდათ ეს ...ალ...ა, თავისუფალი საქართველო არსებობს უკვე წილიწად ნახევარი, მისმა დამფუძნებელმა კრებამ ზეიმით განაცხადა, მთელი ერის მონაწილეობით, საქართველოს დამოუკიდებლობა,

მაშინ რუსეთის „მეგობრებმა", მიუხედავად მათი გარეგნულ ტრფიალის თავისუფლებისა და ცივილიზაციისადმი, შეაიარაღეს ამ დემოკრატიულ რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ ძველი ცარიზმის—ბანდები. მათ ჰქონდათ მიცემული ჩუმი განკარგულება პატარა ქვეყნის ამ ეშმარიტ დემოკრატიის თავშესაფარის ...ანადგურებ...ა, რომელიც უსიტ...ლოდ მ...დის ...ოციალიზმისკენ და რასაკვირველია დიდ საფრთხეს წარმოადგენს იმ ...ერიალიზმის მგლებისათვის.

...ალ...ალშევიკების ...ოციალიზმი ამ მგლებ...თვის ...ევრ...თ ...ფრო ...ელსაყრ...ლია. დემოკრატიას და ნამდვილ ...ოციალიზმს სულ სხვა სახე აქვს. ის პირნი, რომელნიც სულ პატარა ხნის წინ ...ელმძღვანელობდნენ ...ოსეთის ...ანთავისუფ...ლების ...ალ...ის ...ეიზ...ულ...ნ...ლ ...ქართველოში და ...ალ...ეზ...ნ...ელ ...ეზ...ალ...ნ...ელ ...ალ...ალ...ალ

...ერი მართავს პარტიულ ამხანაგ...
...საზოგადო კრებას. მოხსენებას მომე...
...გაკეთებს ლევან ნათაძე.

...კვირას, ენკ. 14 ს, დღის 12 ს. ...
...ველ ქალთა საქველმოქმედო საზო...
...ების პრა-კერვის სკოლის ბინაზე ...
...ანთ შესახვევი, № 5) მოხდება სა...
...ბო კრება ქართ. ქალთა საქველ...
...ედო საზოგადოებისა.

...ეს, 13 სექტემბერს დანიშნულია ...
...თველოს პროფესიონალურ კავ...
...ა აღმასრულებელი კომიტეტის ...
...ბა. ვთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ ...
...მონდში“.

...ალხო გვარდიის უკა...ლოგის მამო

...ეს ბავშვაც კი იცის, რომ სახალ...
...ვარდია არის ერთი დიდა ბოძთა...
...ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რეს...
...იკისა.

...ალხო, ანუ წითელი გვარდია, იმ...
...917 წელს თფილისში. მახსოვს. ...
...ესაც დაარგეს ჟანგიანი ასიოდე ...
...ული ძველი სისტემის თოფები. ...
...ვით ძლიერ ცოტა, მაგრამ საათი...
...ყველა გვარდიელთაგანი გამსჭვა...
...ი იყო წმინდა იდეებით და რეკვი...
...ციის დაცვის ინტერესით.

...ელი გვარდიელები, რომელთა ...
...ვლესობაც მუშებისაგან შესდგებო...
...დღისით ფაბრიკა-ქარხნებში მუშა...
...ენ, საღამოობით კი დღლილ და...
...ულნი სახლში მოსვენების მაგივ...
...ქუჩაში გამოდიოდნენ წვიერების ...
...ავთ და ბუნდ ბაცაცების ასა...
...ვათ. მოსვენება მათ არ ჰქონ...
...დღე და ღამე სულ მუშაობდ...
...ჯამაგირი ან საუკეთესო მაშინ ...
...ლიაში სრულებით არ იყო. ორ...
...ბაცია გვარდიისა იყო სუსტი, ...
...ქონდათ იარაღი, არ ჰყავდათ გა...
...ული ხელმძღვანელები (ობიცერები), ...
...ქონდათ ტანისამოსი და სხვადასხვ...
...ამ მიუხედავად ამისა, რევოლიუ...
...ა და თავისუფლებისათვის თავდა...
...ლმა გმირებმა, გული მაინც არ ...
...ეხეს და მტრებს ყველგან ლახვარ...
...ს და დაამარცხეს.

...ს არ ახსოვს 1917 წლის 12 დეკემ...
..., როდესაც რიცხვით მცირე მუშა...
...�ელთა ჯგუფმა თფილისის არსე...
...ლ დიკავა—რომელსაც მაშინ ბალ...
...ები ეპატრონებოდნენ. წითელმა ...
...ციამ იხსნა ამერი-კავკასია საშინე...
...ნარქიისაგან.

...იხსენოთ სადახლოს ამბები. რო...
...ფრონტზე გასაგზავნი 60 ტყვიის ...
...ვილი თათრების ურდოებმა დაი...
...ს და ჩვენივე იარაღით განადგუ...
...გვიყადნენ,—მუშა გვარდიელთა ...
...ჯგუფმა სასტიკათ დამარცხა ...
...ხენი. ასევე იყო ცხინვალში, დუ...
...ი, სამგრელოში, სოჭის ოლქში, ...
...თში და სხვაგან, სახალხოვანი გვარ...
...ველგან ამარცხებდა მტერს და ...
...ბდა არა მარტო იარაღით, ...
...—ერმთავრობა თავისი შეგნებით ...
...ეთათ ავარდიამ იხსნა საერთოდ ...
...კავკასია ლ. ...ერძოთ საქართველო ...
...ის საშინელებისაგან და ფიზიკურ ...
...ურებისაგან. ამის უტყუარი მო...
...ნტანები. როდესაც გამაკაცებული ...
...ბარჯვებულ—ბალშევიკებს წყა...
...თ—ოსმ ლეთს ფაშებმ, თავისი ...
...ით ჩვენ ქვეყანას დედამიწის პ...
...ალგიას უქადდენ, რა ...ესაც ...
...ავკასიის ერთობის დაშლით და ...
...ებული, ჩვენი ჯარი ბათუმ დან ...
...გამორბოდა და მ ს ფეხდაფეხ ოს...
...ბრბოები მოსდევდნენ, აი სწო...
...იმ სასოწარკვეთილების დროს, ...
...ალთა მცირე ჯუფმა ურიცხვ ...
...ს გზა გადაღობა და სასტიკათ ...
...რცხა. გზირებმა შესწირეს თავი ...
...და ჩვენი ბატონა საშინელ ...ანა...
...ეს გადაარჩინეს.

...ხსენოთ სოჭის პირთველთა ...ი...
...ი წლის დეკემბერში და ...
...თა გმირული, თავდადებული ...
...ბ...ეთ ჩინის სიმაღლეებზე და ...
...ნ. ბ ლოს და ბოლოს, ...
...ი ჩრდილოეთ სკენ, სადაც ...
...რულად იტანს ყოველივე ...
...სახალხო გვარდია და ...
...შავ რეაქციას. მთელი ...
...ლობაში დიდი გაჭირ ...ება, შიმ...
...სიცივე და სხვა ...ათას ...
...გადატანა და ბოლ ...ს გამარჯ...
...მოიპოვა. დღესაც ...
...ი იტანს ყოველგვარ ...
...ბარჯობს ჩვენს ქვეყანას. სახალ...
...რდელი სწირავს თავს ქვეყანისა...
...უშვერს გულ-მ ...ერდს მტრის ...
...სახლში სტოვებ...ს წვრილ ცოლ...
...მოხუც დედ მ...ს და სხვას, ...
...თაც ხშირად მის მეტი მარ...
...არავინა ჰყავთ. როდესაც გვა...
...ლ, გარეთ ...ტანს ყოველგვარ...
...ებს, საერთოდ დემოკრა...
...ინტერესებ...ს დასაცავად, —
...ნ ცოლშვილი ეგულება მასზე ...
...გაჭირვებაში. ამას ყოველობად ...
...ში უნდა გაუწიოს და საქმე მოა...
...ოს, რომ ...ოვანისუფლებისათვის ...
...დებულ მებრძოლთა და მათი ...
...ის მატერიალური მდგომარეო...
...ბაც შეძლებისა დაგვეთათ უზრუნველ...
...ყოს.

ვუსურვებ ყოველობას ნაყოფიერ მუ...
...შაობას!

სახალხო გვარდიელი **გიორგი პირველი.**

სატარიფო პალატა

11 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ბ. ...ანტარიშვილი.

ერობათ ...ა ცენტრალური ...იუროს მოქ...მედების ...ანგარიშის შესახებ მოხსენებას ...აკეთებს ბიუროს წევრი ...ტ...ერუა.

მომხ...ენებელი აღნიშნავს ...ამ მძიმე პი...რობებს, რომელშიც ...ალმოჩენდნენ ჩვე...ნი ...ერ...ები და მუშაობა დაიწყეს. ...ეს პირობ...ებია: ...ომის მიერ ...ეკონომიური ...ურთიერ...ერთობის არეკ...ევა, ფინანსიური ...კ...ი...ზისი, შესაფერი საერობო დებ...ულ...ების ...ქონლობა, გამოუკვეველობა ...ბ...ბიუჯეტო უფლებებისა, მაგრამ ...ბ...ულ...ე დავათ ამისა, ...ერ...ებმა ...ევრი რამ ...ჯ...აკეთეს. რასაკვირველია, თავის მუ...შაობაში ...ერობებს ...ევრი შეცდომები ...ჰქ...ონდა. ...პირველმა საერობო ...ყრილ...ბა...ბ...ბ...ბ

ნაში 300-მდე მომზადებული მეურნე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეურნეობას ეწევიან და ამით იგი ეკონომიური წარმატებისაკენ მიჰყავთ; ერთი სიტყვით, იგი იყო მეურნეობის პირველი აკვანი და ცუდათ თუ კარგათ მეურნეთა ინტერესებს ემსახურებოდა, აკმაყოფილებდა.

მაგრამ დროება შეიცვალა, სამეურნეო მეცნიერებამ, ტექნიკამ გიგანტური ნაბიჯით წინ წაიწია ყოველ დარგებში, სკოლა კი ერთ წერტილზე იდგა. საჭირო იყო მისი რაციონალურათ გადამუშავებაც, ძველი ინვენტარის თუ სახელმძღვანელოების გამოცვლა, რეორგანიზაცია, მაგრამ ერთ ადამიანს მარტო თავის ხარჯით, თავის ენერგიით ეს არ შეეძლო, და ამიტომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სკოლა ძალიან დაქვეითდა და თუ ეხლა მაინც მიწათ მოქმედების სამინისტრომ სათანადო ყურადღება არ მიაქცია, იგი მთლად დაიღუპება, დაინგრევა მილიონათ ღირებული მისი შენობები, რომლებსაც 35 წლის განმავლობაში აშენებდა მისი დამაარსებელი ილია წინამძღვარიშვილი.

იმ დროს, როდესაც ასეთივე ტიპის სასწავლებლებს ქუთაისში, თბილისში ეძლეოდათ მთავრობიდან 20—30 ათასი მან. ყოველ წლიური შეწანახათ, ჩვენ წინამძღვარიანთ სასწავლებელს აძლევდა თავად-აზნაურობა 4000. თუ წინათ სკოლას ქონდა რაიმე პატარა შემოსავლიანი წყაროები, მაგალითად ვენახი, ბაღი, ესენიც 15 წელიწადია სკოლას ალარაფერს აძლევს, რადგანაც ვენახი ფილოქსერამ მოსპო და ბაღიც ფლობოობამ. მოუვლელობამ გააფუჭა. ღობე სასწავლებლის ბაღისა დღიდან მისი დაარსებისა არ გამოცვლილა და არც ბაღის დასამუშაებლათ არაფერი სპეციალური თანხა არ გადადებულა; აზკარაა 35 წლის განმავლობაში ყველაფერი დალპა, გაცვდა და გამოცვლა კი ალარაფერს ღირსებია. თავიდანვე საჭირო იყო მისი დაცვა, მთავრობის მფარველობის ქვეშ აღება, მაგრამ ძველი მთავრობა ყოველ ნაირ პროგრესში მარცხს ხედავდა და სკოლებს ერიდებოდა. ამნაირათ სკოლა დაქვეითდა, დაეცა; გულ-გატეხილი მასწავლებლები, ხედავდენ რა ამ არაარაობას, გაურბოდენ მას და მიუხედავათ იმისა, რომ ამ სკოლაში მოღვაწეობდენ საუკეთესო ჩვენი ძალები, აგრეთვე ამ სკოლის ერთგული შვილებიც, მაინც ვერავინ მას ნამდვილი მალამო ვერ დასდო, რადგანაც ამისათვის იყო საჭირო სახსარი, თანხა, ან გინდ მუშის ძალა და ესენი კი არსაიდან არ სჩანდა.

ეხლა სამეურნეო ცოდნის გავრცელებას საკითხი ფერო მწიფედ სდგას ჩვენ წინაშე და რადიკალურ რეფორმებისაკენ ისეთსავე ზომებს თხოულობს.

ჩვენი წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლა ძველი სასწავლებელია, გაშენებული საუკეთესო ჯანსაღ და ყოველგან შესაფერ ადგილას, შემკული საკმარისი მამული და წყლით და თუ სამინისტრო იზრუნებს მის დაცვა შენახვას, მას კი ბევრი რამ აკლია, გზა, ეკიმობა, ბანსიონი, ეს იქნება ისეთივე მეურნეობის აკვანი, როგორიც იყო იგი ძველ დროში.

ამ ბოლო დროს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება ამ სკოლას და ამ დღეებში იგი დათვალიერა სამიწათ მოქმედო სამინისტროს წარმომადგენლებმა. მათ დავალება ჰქონდათ შეედგინათ გეგმა ამ სკოლის გადაეთების, რეორგანიზაციის ხარჯთ აღრიცხვით. მათი პროექტით, რომელიც წარუდგენიებია საკანონმდებლო დაწესებულებას და იმედია აქვთ, რომ გაიყვანენ, სკოლა უნდა გადაკეთდეს 4 კლასიან სამეურნეო სასწავლებლათ, საიდანაც გამოვლენ საფუძვლიანათ მომზადებული პირნი მეგაღეობაში, მებოსტნეობაში და ხვნათესვაში, მათ უნდა შეეძლოთ აგრეთვე სხვების ხელმძღვანელობა ინსტუქტორობაც. მეოთხე კლასი იქნება წმინდა პრაქტიკული და პირველ კლასში მიიღებიან უმაღლეს პირველ დაწყებით სწავლა დამთავრებულები.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სასწავლებელში შესასვლელი დიდი სწავლის ცენზი მგონი მეურნეობის ბევრ მოყვარულს დაუკარგავს შესვლის სურვილს; მაგალითად, დუშეთის მაზრაში მხოლოდ ერთი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელია, ისიც დუშეთში და იგი მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოუშვებს კურს დამთავრებულ მოწაფეთ, როგორც ახალი სასწავლებელი; ამნაირად, ჩვენი თუშეთიანეთის მაზრის მცხოვრენნი, ნამეტნავათ საგურამოელები, მთლიანად მოკლებული ვიქნებით ამ სასწავლებელს და ვერ შევიყვანთ ჩვენ შვილებს იქ. რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა თითონ წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებელთან არსებული პირველი ოთხი განყოფილება გადაკეთდეს უმაღლეს პირველ დაწყებით 4 კლასიან სასწავლებლათ და აქედან გათავებულები გადავიდნენ ხოლმე თავისუფლათ იქვე სამეურნეო სასწავლებელში; ამას გარდა, ბევრი იქნება მისურნე შეისწავლოს მეურნეობა სასწავლებელში. ასეთ პირებიც, რომლებსაც არა აქვთ სათანადო მომზადება სასწავლებელში შესვლისათვის, არ გაუთავებიათ უმაღლესი პირველ-დაწყებითი კურსი, მაგრამ კი უნდათ შეისწავლონ მეურნეობა. ასეთებისათვისაც სამეურნეო სასწავლებლის კარი ღია უნდა იყოს. ცხოვრებიდან ვიცით, რომ ასეთი პირები უფრო მუყაითი მეურნენი გამოდიან ხოლმე, ვიდრე მეზიგნობრები და ასეთი კურსები არსებობდა ყველგან რუსეთის სამეურნეო სასწავლებლებში, რომლებსაც ეძახოდნენ „პრაქტიკანტებს". იმედია, ასეთი დიდი უყურადღებობის შემდეგ, რასაც განიცდიდა აქამდე ჩვენი ჩამორჩენილი დუშეთის მაზრა განათლების მხრივ, ეხლა მაინც ყურადღებას მიიქცევს ვისგანაც ჯერ არს და ვეღირსებით კ დეე ჩვენი გაანახლებული წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის ნახვას. ამ[illegible]ლის ფანცქალი ველით ამ საგანგ[illegible] მთავრობის გადაწყვეტილებას.

დ. ბ.

გურია. ამ ბოლო ხანებში გაზეთებში ხშირად შეხვდებით ცნობებს გურიაში ბალშევიკების გაძლიერების შესახებ. გურიის გარეშე ისეთი ხმები ყოფილა გავრცელებული, თითქოს გურიის ბალხის უდიდესი ნაწილი, ის ხალხი, რომელიც ავანგარდი იყო და არის რევოლიუციური მოძრაობის და ალას დროს პროვოკაციის და ანარქიის ადგილი არ მიეცა, თითქოს ეს ხალხი ბალშევიკებს თანაუგრძნობდეს. ასეთი ცნობები და ხმები გურიის დემოკრატიის შესახებ ყოველივე საუფძველს მოკლებულია. პირიქით, ამ ბოლო ხანებში ვინც გურიის ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა, დამეთანხმება, რომ გურიის დემოკრატიას ერთ წუთითაც არ უფალატნია იმ პარტიისთვის, რომელსაც მისი უდიდესი ნაწილი ეკუთვნის. მართალია სცადეს გურიის კომუნისტებმა ხალხის თანაგრძნობის მოპოვება, მათი პროვოკაციის ქსელში გახვევა, მაგრამ მათი ცდა სამარცხვინო დამარცხებით დამთავრდა და ისედაც ზნეობრივად და იდეიურად გაკოტრებულმა ბალშევიკებმა მთელი ქვეყნის თვალში საშფოთოთ დაჰკარგეს ნდობა და პატივისცემა იმ პირებშიც კი, რომლებიც რუკეაში იყვნენ და მათკენ იხრებოდენ.

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე არა ერთხელ იყო აღნიშნული გურიაში იდეური მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე. უნდა ითქვას, რომ ამ მუშაობამ, რაც გამოიხატებოდა პროპაგანდა-აგიტაციაში, ყველა იმ საჭირო-ხოროტო კითხვების გარეშე, რომლებითაც ბალხი არის დაინტერესებული, ძალიან დიდი ნაყოფი გამოიღო. იმ მიტინგებს გარდა, რომლების ანგარიშები იყო ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ აღნიშნული, მოეწყო მიტინგები კიდევ სუფსაში, ჯუჯაყეთში, მიქელ-გაბრიელში, შემოქმედში, გურიანთაში და ლანჩხუთში. მომხსენებლებათ გამოდიოდენ ამხ. ალექსანდრე და სერ. ჟორჟოლიანები, გ. შილაკაძე, კალე ქუთათელაძე და დამფუძნებელი კრების წევრები გ. მურვანიძე, ილია ფირცხალაიშვილი და სხვ. ვადაჭკორია. ყველა ამ მიტინგებით ხალხი კმაყოფილი დარჩა. თითო ოროლა ბალშევიკებმა „განსაკუთრებით „ცნობილი" თედორე ყალანდაძე და მისი „ლირსეული" ძმა ვარდენი, რომლებიც ჩვენ წინაღმდეგ გამოდიოდენ სასტიკი ზნეობრივი და იდეიური დამარცხება იგემეს.

აქ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ლანჩხუთის მიტინგზე, რომელმაც ყველაზედ მეტი ახმაურება გამოიწვია. მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო ქ. ლანჩხუთში 23 აგვისტოს ს. დ. ორგანიზაციის მიერ, მრავალრიცხოვანი იყო. ამ დღისთვის ბალშევიკებს მოეხდინათ მობილიზაცია თავიანთ ძალების გურიის ყველა კუთხეებიდან იმ მიზნით, რომ ოხსტრუქცია გაეკეთებინათ ჩვენთვის.

ყოველმხრივ გაკოტრებულ ბალშევიკებმა უკანასკნელ ზომებს მიმართეს. რადგანაც ყველა საზოგადოებებში, სადაც ჩვენ მიტინგები გვქონდა, ხალხმა მათ უნდობლობა გამოუცხადა, ხალხში მათმა გამოსვლებმა აღშფოთება გამოიწვია და რადგანაც ლანჩხუთში ბალშევიკებს ასეთი ბედი მოელოდა, ამიტომ მოინდომეს მიტინგის ჩაშლა. როდესაც მიტინგი გაიხსნა და ჩვენი თავმჯდომარე არჩეული იყო, მაშინ ასტეხეს ბალშევიკებმა განგაში და ყვირილი, ჩვენი ამხანაგები იძულებული შეიქმნენ ადგილი გამოეცვალათ და ჩამოშორებოდენ ობსტრუქტანისტებს. მაგრამ ახალ ადგილასაც არ დაგვანებეს მიტინგის წესიერად წაყვანა, ბალშევიკების აღვირფხსნილობამ და თავხედობამ იმდენზე აღაფოთა ხალხი, რომ მოსალოდნელი იყო ექსცესები, ამიტომ ჩვენი ამხანაგები იძულებული შეიქმნენ მიტინგი დაიბურათ. ხალხი კი აშკარათ გაიძახოდა, მოგვაშორეთ ეს არამზადები, ეს დენიკინის აგენტები, თორემ თვითონ ჩვენ ჩავქოლავთო. აღსანიშნავია მათი შემადგენლობა: მათ წრეში დაინახავთ დეზერტირებს, ყველა ჯურის სიეკვო პირებს და საზოგადოთ ყველა იმათ, რომლებიც რევოლიუციამ გარიყა, რომლებსაც რევოლიუციამ შეურაცყოფა მიაყენა, უფლებები და პრივილეგიები წაართვა, აი ვინ შეადგენს თვდორე კალანდაძის ლაშქარს. უმთავრესი დადებითი მხარეთ ამ მიტინგების უნდა ჩაითვალოს ის, რომ გურიის დემოკრატიამ ნათლად დაინახა თუ ვინ არიან ეს ავანტიურნები, რა ფიზიონომიის მატარებელნი არიან ისინი, რომლებიც თავიანთ თავს ბალშევიკებს უწოდებენ. ეხლა სიტყვა ბალშევიკი აღშფოთების მეტს არაფერს იწვევს გურიის ხალხში, განსაკუთრებით მათი ლანჩხუთში ჩადენილ უწესოების შემდეგ.

ამ რიგად ის ხმები, თითქოს გურიაში ბალშევიზმი გაძლიერებულიყოს, გურიელ ხალხი ბალშევიზმისკენ იხრებოდეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. მრავალი ნაწილ ბრძოლაში გამოწვრთნილი გურიის დემოკრატია ალას დროს არ ღალატებს იმ აწყრო გზას, რომელიც მან და საზოგადოთ საქართველოს დემოკრატიამ აირჩია რევოლიუციის ალ თავის უფლების შესანარჩუნებლათ.

მონბლანი.

ოშ. სახელმწიფო დაწესებულების მეხელეთა კავშირისაგან.

(ადგილობრივ კომიტეტების და მოხელეთა საყურადღებოთ)

ამხანაგებო! ჩვენი ეკონომიური საზოგადოება უკიდურეს მდგომარეობაშია. იგი ველარ გვიწევს იმ დახმარებას, რა საც მისგან მოველოდით.

მოხელეთა კავშირმა, მიაქცია რა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება, თავის სხდომაზე ერთხმად დადგინა: აღნიშნული საზოგადოება მან მიიღოს თავის გამგებლობისა და კანტროლის ქვეშ.

ამ ნიადაგზე გადადგა კიდეც შესაფერი ნაბიჯი.

აირჩია თავისი ნდობით აღჭურვილი კანდიდატები გამგეობისათვის, დაუბარა მომავალისათვის მათ გადასცეს მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების საქმეების წარმოება, თვითონ კი იკისროს მისი კანტროლი.

მოქალაქენო! კვირას, 14 სექტემბერს, მუშათა კლუბში (მიხეილის პრ. № 65) დანიშნულია მოხელეთა კოოპერატივის საზოგადო კრება ახალი გამგეობის ასარჩევად.

მოგიწოდებთ მიიღოთ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა, დაუყონებლივ მოიწვიოთ ადგილობრივი კრებები და გაიცნოთ მოხელეებს ჩვენი დაბეჭდილება, რათა არჩევნებში ხმა მისცეს საბჭოს კანდიდატებს

მოხელეთა კავშირის საბჭო.

ფრონტისთვის

ხერსონი. 1918 წ. დეკემბრის პირველ ნახევარში საბჭოს თავმჯდომარის ს. ბამალაძის თაოსნობით დაარსდა ჯარისკაცთა და გვარდიელთა და მათი ოჯახების დამხმარე კომიტეტი. ამ კომიტეტში შევიდა ფრონტის დამხმარე ქალთა წრე, რომელსაც უნდა შეგროვებული პური და სხვა სანოვაგე და მიეტანა დენინა ფრონტისთვის ქალთა წრემ რაც შეაგროვა, უკვე დიდი ხანია (ნიკვარი თუ თებერვალი) გაიგზავნა დანიშნულებისამებრ, ხოლო კომიტეტმა რაც შეაგროვა (ექვსიათას მანეთამდე) გადაეცა გამგეობას, რომელსაც ცხრა თვის განმავლობაში ვერ მრუბერხებია ამ ფულების სადაც ჯერ არს გადაგზავნა. მიუხედავათ იმისა, რომ რამდენჯერმე მოგონეს ეს მას...

16 ივლისს სურამის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის თაოსნობით ორგანიზაციის ბინაზე მოწვეულ იქნა სხვადასხვა პარტიის და ჯგუფების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც ს. დ. ორგ. თავმჯდომარემ მამალაძემ მოკლეთ გააცნო კრებას ფრონტის დღის მოწყობის მნიშვნელობა, რომელიც უნდა მოეწყოს ყოველგან 19—20 ივლისს და მოუწოდა დამსწრეთ ყველას ძალიან მხურვალე მონაწილეობა მის მოწყობაში, რის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც გაანაწილა თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა. ს. დ. ორგანიზაციამ აკისრა 20 ივლისს ფრონტის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა; ქალთა საზოგადოებამ „მანდილოსანმა" სეირნობის გამართვა ყოფილ კლუბის ბაღში და ყულაბებით ფულის შეგროვება. ვაჭართა წრემ—ერთმანეთზე ფულის გაწერა და შეგროვება ქალაქის წარმომადგენელთა დახმარებით. ამას გარდა ზოგიერთ ხმოსნების წინადადებით 18 ივლისს მოწვეულ იქნა საბჭოს საგანგებო კრება, რომელზედაც საბჭოს ერთხმად მიიღო წინადადება ამხ. მაჭალაძისა ფრონტის სასარგებლოდ ათი ათასი მანეთის გადადებისა.

ორგანიზაციის მიერ გამართულ წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი შემოვიდა 2850 მანეთი. საზოგადოება „მანდილოსანი"-ს გამართულ სეირნობიდან წმინდა შემოსავალი—1335 მ. ვაჭრებზე კომისიამ გაიწერა 12,000 მ., აქედან პირველ დღეებში შეაგროვეს 6,835 მ. და ნარჩენი ფულების შეგროვება შეჩერდა—გაიყინა კომისიის დაუდევრობით. საჭიროა კომისიამ დაჩქაროს დანარჩენის შეგროვებაც და თუ ვერ შეაგროვებს, შეგროვილი (6835 მ.) მაინც გადასცეს ფრონტ-ს დღის მომწყობის მეთაოსნეს—ს. დ. ორგანიზაციის დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ, ანდა თითონ გადაგზავნოს, სადაც ჯერ არს. საჭიროა აგრეთვე ქალაქმაც დროზე გამოიღოს გადადებული ფული (10,000 მ.), რომელსაც უნდა მიუმატოს გამგეობამ ექვსი ათასამდე მან., რომელზედაც ამ წერილის თავში არის ლაპარაკი.

ორგანიზაციის მიერ გამართულ წარმოდგენიდან შემოსული ფული 2850 მ. და საბ. „მანდილოსნის" მიერ შეგროვილი 1335 მ. სულ 4185 მ. გადაეცა „ერთობის" რედაქციას დანიშნულებისამებრ გადასაცემად.*)

Senex.

ჩერ. რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ეს ჩემი პატარა წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„ერთობა" ს მე-203 ნომერში, მოთავსებული იყო ყარაიაზის სოფ. ერთობიდან ვინმე „გურამ"-ის წერილი, საცა ის ბრალსა სდებს ჩემს საქმის მწარმოებელს ურბანოვიჩს, ვითომდა ის უდიერად მოპყრობოდეს გადმოსახლებულს ივანე ჩხეიძეს, და მიემართოს მისთვის შემდეგი სიტყვებით: „ალარც არის კანტორა, ალარც არის ფული, ალარც არის თივა, და ალარც არის ყარაიაზი; წადით იქ საიდანაც გადმოსულხართო".

საქმე შემდეგშია: სასურსათო საბჭომ შეიკიდა ყარაიაზის გადმოსახლებულთა თივები. ივანე ჩხეიძე ამორჩეული იყო გადმოსახლებულთა მიერ თივის ჩასაბარებლად.

გადმოსახლებულებს, როგორც გვირვებულებს, თივის ანგარიშში ვალძღვევდი ავანსად ფულს, მივეცი 30,000 მანეთამდე, ფულს იღებდა ბ. ჩხეიძე, როგორც რწმუნებული, და მას უნდა გაენაწილებინა უფრო გაჭირვებულ გადმოსახლებულთა შორის, და ეცნობებინა ჩემთვის ვისა და ვის მიეცა ფული, რომ ბოლოს, თივის ჩაბარების დროს, ანგარიში გაგვესწორებინა.

ფული ალარა მქონდა კასაში და კრედიტიც შეუკარი გადმოსახლებულებს, რადგანაც მინდოდა გამეგო ვის გაუნაწილა ფული ბ. ჩხეიძემ და იქნებოდა გარანტია ფულის დაბრუნებისა თუ არა.

ბ. ივანე ჩხეიძეს მთლად ამიტალახა კანტორა, ყოველ დღე იქ იყო და მოსამსახურეებსაც აცდენდა საქმეზე იყო თუ არ იყო ფული, ის მას არ კითხულობდა და მიღება უფფველად უნდოდა.

როდესაც მე ვიყავი თფილისში ფულის მოსატანად, რაიც ჩხეიძემ და სხვებმაც კარგად იცოდნენ, მისულან ჩემ კანტორაში ბ. ჩხეიძე და ზოგიერთი სხვები და უთხოვნიათ ფული. ჩემ საქმის მწარმოებელს უთქვამს მათთვის, რომ მე წასული ვარ თფილისში, და ჩემ დაბრუნებამდე ფულზე ტყუილია ლაპარაკი, რადგანაც არ არის და ვერ მიიღებენო. წინადადება მიეცა მოსულიყვნენ მაშინ, როცა მე ჩამოვიდოდი.

უთხოვნია მათთვის მიეტოვებინათ კანტორა და ელოდათ ჩემ ჩამოსვლას. ბატონი „გურამი"ც იქ მდგარიყო დერეფანში და ყოველივე ამას მისცა პროვოკაციული სახე და მოახვია თავს ბრალდება ჩემ საქმის მწარმოებელს.

ჩემი საქმის მწარმოებელი ძალიან ზრდილობიანი და პატიოსანი მუშაკია. რაც „გურამ"-მა მას მიაწერა, ის, რომ უნდოდეს კიდეც ვერ გამოსთქვამს.

მე მაინც მოვახდენ გამოძიებას, და რაც ბ. „გურამ" მა დასწამა ბრალდებათ წაუყენებ ჩემ საქმის მწარმოებელს და ბ. „გურამს" მოუხდება სასამართლოს წინაშე ყოველივეს დამტკიცება.

ყარაიაზის რაიონის თავის დამზადების გამგე [illegible] უსტიაშვილი

„სახალხო საქმის" № 624-ში მოთავსებულია წერილი „მგელაძის მოღვაწეობის" შესახებ. ყოველი სიტყვა მოყვანილი ჩემ შესახებ ამ წერილში, არ შეესაბამება სიმართლეს. ცენტრალურ გამგეობაში, მთელი წლის განმავლობაში, მე ვიყავ მხოლოდ ორჯერ. ერთხელ მაშინ, როდესაც იქ მართლა კამარილიის როლს ასრულებდენ და ვურჩიე ადმინისტრატიულ ფუნქციებში არ ჩარეულიყვნენ. მეორეთ, როდესაც მოხუცებულებზე ჰქონდათ ლაპარაკი. ამის მეტი მე ფეხი არ შემიდგამს ცენტრალურ გამგეობაში და არც არავითარი საჩივარი მგელაძეზე არ შემიტანია. თუ რა-

*) ფული რედაქციამ მიიღო. რედ.

ბიბლიოთეკა

ექიმი ნ. ბ. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების ნეიულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლდას ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ნ. ბ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ენენეის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეგიისა. 1 სექტემბრიდან განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—12 ს. და საღამოს 6-7 ს. პლეხანოვის პრ. № 119 ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსეფ რაფაელის ძე ცინცაძე

ძლებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ნ. ბ. [illegible]

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლდას № 41, ტელ. 12—75

ექიმი ნ. ლ. [illegible]

მედიცინის დოქტორი იმპერატორის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბავშვო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიბზოვიჩის ალთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ნ. ბ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, ქალების და გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯი და წამლობა ჯს სხვებებით, დიდი სალენიდი და არსებული ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ლარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ბ ო ტ ნ ი კ ი

პროფ. დოქტ. მედიც. ბ. ბ. [illegible]

იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები" (Минеральныя воды).

ექიმი ბ. ფ. [illegible]

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დიპლომით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრ. სასტუმრო „ნორ"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი [illegible]

იღებს სპეციალურად — მალარიის (ციება და მისი შედეგებით დასნეულებული) სისხლის ნაკლებობით, გულისა ფილტვისა, ქერეგებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრონაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № [illegible] ზემელის ალთიაქის ახლო.

ექიმი ფ. ნ. [illegible]

ლეშულ ობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—ს. ს. ს. ს. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

წიგნის ქადაგია „ბანათლებაბ"

ოლდას ქ. № 6. დაამზადებინა და იყიდება ბრიუსათ და ცალობით

რვეულები (ცალ-ცალი) და სახელმძღვანელო წიგნები. (6—1)

მთავრობის სტამბაში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ

იასონ ბიკულაიშვილის

ქართული მოკლე გრამატიკა

წიგნი ნებადართულია სკოლებში სახმარებლად განათლების სამინისტროსთან არსებულ სარეცენზიო კომისიის მიერ. 1—1

იყიდება მინა ოზურგეთში

ბათომის ქუჩისა და შესახვევის კუთხე, ზომით 414 [illegible], ხეხილით მოშენებული. მისამართი: თფილისი, აზმაიფლოვის შესახვ. (ვერაზე № 6, ს. გრიაზნოვი. 3—

ვისაც სურვილი აქვს იყიდოს ან გაყიდოს სახლები, მაღაზიები ქალაქის ყველ. რაიონში (რომელთა ღირებულება იქნება 2,000 დან—6,000,000 მანეთამდე). ავარაკები, მამული, საგაჭრო დაწესებულება, კანტორები, ავტომობილები, ბრუნვაგიები, ტელები, ნოსები და სხვა. მიმართონ ინტელიგენტურ [illegible] ქ. № 3, ბინა 2, ტელეფონი 2—[illegible] ილ. 11—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. (1—1)

მე-2 საარტილერიო დივიზიონის სამეურნეოდ, რომელიც მოთავსებულია [illegible] საბჭოს ქუჩაზე № 119, ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა ენკენისთვის 14-ს დილით 10 საათისთვის დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

აღნიშნული დივიზიონის უფროსის სწ. კაკვების (ინვენტ.) გაყიდვაზე. (3—2)

სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიური სრბა ქ. თფილისში

კვირას, 14 სექტემბერს 1919 წელს 9 ნახ. საათზე დილით მუშათა კლუბის (ბ. ხელის ქ. სახლი 65) საზაფხულო შენობაში დანიშნულია სახელმწიფო მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის შესახებ., 2) არჩევა გამგეობის წევრების და მათი კანდიდატებისა., 3) სარევიზიო კომისიის ერთი წევრის არჩევა., 4) მიმდინარე კითხვები. ამასთან გამგეობა მოიგონებს ზოგადოების წევრებს, რომ თუ აღნიშნულ დროზე 9 ნახ. საათზე საზოგადო კრება არ შესდგა ყველა [illegible] რაცხვის გამოუცხადებლობის გამო, მეორე კრება გაიხსნება იმ დილითვე 10 ნახ. საათზე და კანონიერად ჩაითვლება რა დენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. გამგეობა. (4—3)